ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №7464914

ნომერი: AR11088594

თარიღი : 25.04.2025

გაცემის თარიღი : 02.05.2025

გაცნობის თარიღი : 02.05.2025

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, სოფელი დიღომი, ავთანდილის ქუჩა, N 27;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ვასილი ცომაია პ/ნ 01025015668
- აწყურის ქ. კორპ. 3A ბინა 1

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 26 ნოემბრის №5658031 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2025 წლის 25 აპრილს №AR11088594 განცხადებით მომართა ვასილი ცომაიამ და მოითხოვა სამსახურის 2021 წლის 26

ნოემბრის №5658031 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2021 წლის 26 ნოემბრის №5658031 ბრძანებით, №01.72.14.037.803 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, შეთანხმდა ინდივიდუალური ორბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა.
სამსახურის 2022 წლის 8 ივლისის №6026633 ბრძანებით გასწორდა ტექნიკური შეცდომა სამსახურის 2021 წლის 26 ნოემბრის №5658031 ბრძანებაში ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან და საპროექტო ობიექტთან დაკავშირებით.
სამსახურის 2025 წლის 27 იანვრის №7354706 ბრძანებით შევიდა ცვლილება სამსახურის 2021 წლის 26 ნოემბრის №5658031 ბრძანებაში მშენებლობის ვადასთან დაკავშირებით.
წარმოდგენილი განცხადებით, განმცხადებლის მიერ მოთხოვნილია სამსახურის 2021 წლის 26 ნოემბრის №5658031 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება, კერძოდ, შეთანხმებულ გეგმებზე გამორჩენილია საპროექტო ინდივიდუალურ ორბინიანი საცხოვრებელი სახლისთვის ნომრების მითითება. შესაბამისად, ითხოვს შეთანხმებული გეგმების ჩანაცვლებას წარმოდგენილი გასწორებული გეგმებით.
სამსახურმა, განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი გასწორებული გეგმა-ნახაზები შეადარა შეთანხმებულს და დაადგინა, რომ შეთანხმებულ გეგმებზე ინდივიდუალურ ორბინიანი საცხოვრებელი სახლს არ აქვს მინიჭებული შესაბამისი ნომრები, იდენტიფიცირებისთვის. შესაბამისად, შესაძლებელია შეთანხმებული გეგმების ჩანაცვლება წინამდებარე განცხადებაზე წარმოდგენილი გასწორებული გეგმებით.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 26 ნოემბრის №5658031 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,
ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:
1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 26 ნოემბრის №5658031 ბრძანებაში და შეთანხმებული გეგმები (გარდა სახურავის გეგმისა) ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებაზე, ფაილის მიმაგრების ველში წარმოდგენილი გასწორებული გეგმებით.
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 26 ნოემბრის №5658031 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 26 ნოემბრის №5658031 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.